

№ 16.

ქ ა რ თ უ ლ ი

მ ა რ თ ლ წ ე რ ა

ს. ხუნდაძისა.

Handwritten signature

▼ ნ ბ ნ ს ა ც ა ვ ი

ფასი 3 კაპ.

ქ. ქუთაისი
სტამბა „ძმობა“ კაზ. ქ. № 17.
1913 წ.

Handwritten notes on the left margin:
16
11

Handwritten notes and stamps at the top right:
44
6-27-1

ქართული მართლწერა.

1.

ბაცათ, ქვათ, ხეთ, კარგათ, ავათ (ავათმყოფი) და სხვ. — ღ-ით: მარაღ, კვალაღ, ფრიაღ, მხოლოღ, სრულიაღ, ყოვლაღ, ერთაღ, ერთაღერთი, მუქთაღ, იშვიათაღ, ფართოღ (საზოგადოთ—როცა ძირის თ თან მოსდევს).

2.

მოვიღენ, ღასხღენ, გაიქცენ, იყვენ (და არა მოვიღნენ, იყენენ და სხ.).

3.

ქეთილი საქმის, ქართული ენის, მაღალი ზნეობის, ქართული ენით, მაღალი ზნეობით (და არა მაღალ ზნეობის, ქართულ ენის, ქართულ ენით).

4.

მეორას, მესამას (და არა მეორესი, მესამესი და სხვ.); ამით, იმით (და არა ამითი, იმითი).

5.

ძართულ ენას, მაღალ ხეს, ბედნიერ დღეს (და არა ქართულს ენას, ბედნიერს დღეს და სხვ.)

6.

რასმე, ვისმე (და არა რასმეს, ვისმეს, არც რამეს, ვინმეს).

7.

ერთისა და იმავე საქმის, ერთსა და იმავე საქმეს, ერთისა და იმავე საქმით (და არა ერთისა და იგივე საქმის, ერთისა და იგივე საქმით).

8.

მდი (და არა მდე, მდის, მდისინ): დღემდი, ქალაქამდი, სოფლამდი.

9.

ღან (და არა თგან, ღგან, დამ): ქალაქიღან, სოფლიღან.

10.

ამას შემდეგ, ამას გარდა, საქმეს შემდეგ, სიკვდილს შემდეგ, წას ქვეშ, ხეს ქვეშ, საქმის გათავებს შემდეგ, სიკეთეს გარდა (ან შემდეგ ამისა, გარდა ამისა და სხვ.).

11.

შეერთებულათ სწერეთ: სხვადასხვა, ზარდაზირ, ზედიზედ, თანდათან, ხმამაღლა, ნელნელა, ბეგნაირა, მრავალნაირა, ნუთუ, ზირიქით, გულწრფელი; ოცდახუთი, ორმოცდაათი, ოთხმოცდაექვსეუთე...

12.

მე შუაში: ოცდამეხუთე, ორმოცდამეთუთხმეტე, სამოცდამათე (და არა მამოცდახუთე და სხვ.).

13.

მან დასდვა, გადასდვა, სპილეთი დაუდვა, ვსთქვათ, შევსვათ (და არა ვსთქვით, შევსოთ).

14.

მქვია, მშნია, მწყურია, მეშინია, მრცხვენია, შემიძლია, მიხარია (და არა მქვიან, მიხარიან და სხვ.).

15.

ს-ნით სწერეთ (კეთილხმოვანებისთვის) მოქმე-

დებათი გვარის ზმნების ზოგიერთი დრო (კრთხვებზე: რას ვშვრებთ? რას ვშვრებოდით? რას უნდა ვშვრებოდეთ? რას გაზამ? რა გქენი? რა უნდა გქნა? რას ვიზამდი?) **ღ, თ, ტ, ც, ძ, წ, ჭ, ჯ**-ის წინ, — მაგალ.: ვსწერ, ვსწერდი, ვსწერდე, დავსწერ, ვსწერე, ვსწერო, დავსწერდი; ბავშმა სთქვა, დასდგა, ქალი მოსთქვამს, მტერს დავსძლევთ, და სხვ.

16.

ს არ იხმარება **საშვალ** გვარის ზმნებში: ის დგას, ის დადგა (მოქმედ. გვარისგან კი—დასდგა, მაგ. ქალმა უოქი მიწაზე დასდგა), ის წევს (მოქმ. გვარისგან კი—სწევს, მაგალ. ბავში დედის კალთასა სწევს), ჩანს, გამოჩანს, გამოჩნდა და სხვ.; იშვი-ათად—საშვალო გვარის ზმნებსაც დაერთვის ხმა **ს**: სკირია, სჯერა, სჯობია, სდუმს...

17.

მე წასულვარ, ჩვენ წასულვართ, დაწალიღვარ, დაწალიღვართ, გაქცეულვარ, ეოფიღვარ, წასულ-გოყავ, ეოფიღვიყავ და სხვ. (და არა წავსულვარ, ეყოფიღვარ, გავქცეულვარ და სხვ.).

18.

რა მიქნია?—**მე წამიკითხავს, გამიბედავს, შემიხედავს, დამინახავს, ჩვენ წავგიკითხავს, შეგვიხედავს** და სხვ. (და არა წამიკითხნია ან წამიკითხნა, შემიხედნია ან შემიხედაია და სხვ.).

19.

რაც უნდა იყოას, კმაყოფილი უნდა ვიყოთ (და არა იყვას, გიყვით და სხვ.).

20.

ისინი კერვენ, ხედვენ, იცვენ, ბარვენ, იცვენ

(და არა კერავენ, ხელავენ, იცვამენ და სხვ.).

21.

საშვალო გვარის ზმნები **ობ**-ზე ბოლოვდება: მე ვტრიალ**ობ**, ის ტრიალ**ობს**, ჩვენ ვცხოვრ**ობთ**, მე ვცხოვრ**ობ**, ვარსკვლავი ციმციმ**ობს** და სხვ. (და არა ვტრიალებ, ვცხოვრებ, ვციმციმებ...).

22.

ვდგავარ, ვგავარ, დგახარ, გავხართ, დგახართ, მუგავარ და სხვ. (და არა ვდგევარ, მუევავარ, ვგევარ, მგევავარ და სხვ.).

23.

მან დააარსა, მათ დააარსეს, მან გააადვილა, მათ გააადვილეს; მას უნდა შეეერთებია, მათ შეეერთებიათ, შეეერთებოდა და სხვ. (და არა დაარსა, დაარსეს და სხვ.).

24.

მე ვიღვწი, ის იღვწის (და არა ვიღწვი).

25.

მე მიავწიე, მან მაწია (და არა მივალწიე, მივალწია).

26.

მე აღვიარებ, შენ აღიარებ, ის აღიარებს, ჩვენ აღვიარებთ, თქვენ აღიარებთ, ისინი აღიარებენ, მე აღვიარე, ჩვენ აღვიარეთ, აღსარებულა, აღმსარებულა (და არა მე ვაღვიარებ ან ვაღიარებ, ჩვენ ვაღვიარებთ, ვაღვიარეთ, აღიარებულა, მაღიარებულა და სხვ.).

27.

შ-ით სწერეთ: შკოლა, ფოშტა, ვშინჯავ, გავშინჯე...

28.

მაგართან-მაგარი ხმა, რბილთან-რბილი: რე-
დაპტორი, ღირეპტორი, ფაპტი, აპტი, სეპტემბერი,
ოპტომბერი; რედაქცია, ღირექცია; შეცთომა,
ცთუნება, მხთალი, თფილისი...

29.

გათავისუფლეს (და არა გაანთავისუფლეს),
გაგაკეთებინა, დაგაწერინა, გააკეთებინა, დააწერინა (და
არა დააწერინა და სხვ.).

30.

ზმნებში ჰ-ს ნუ ხმარობთ.

სხვადასხვა ცალკე სიტყვების მართლ- წერა.

1.

ა. აგათყოფი, აკრძალვა, აკრძალული, ამბავი,
ამდენი (იმდენი, რამდენი, — და არა ამოდენი, იმოდ-
ენი და სხვ.), ანგელოზი, აჩეკანი (აჩეკნები
კი—როცა სხვადასხვა არჩევანზეა ლაპარაკი), აქით,
აქით-აქით, აქითური, აქიდან, აქიმი, აქიმობა, ახლან,
ახლანდელი...

ბ. ბავში, ბარცვი, ბეგრჯერ, ბძანება (საბძა-
ნებელი, მობძანდი...).

გ. გაზდა (გაზდილი), გაკვირვება (საკვირველი,
ვაკვირვებული), გასაყიდი, გასწრება (გავუსწრებ,
მივუსწრებ), გაცარცვა (გაცარცული, გასაცარცვაი),
გაწესება (გაწესებული), გქელა (გაგძელება, სი-
გძე...).

დ. დათვალეობა (დათვალეობებული, დაათვა-
ლიერა), დამხჩვალა (სახჩობელა, დაახჩევს), დამწვედა-

გა, დანაძლევა (დამენაძლევა, დანაძლევიდენ, სანაძლეო), დასოვლება (დასოვლებული), დატყუება (დამატყუა), დაშვენება, დაშვენებულა (და არა დამშვენება, დამშვენებული), დაწეება, დაწეებულა, დეპეში, დესეტიანა, დიას, დეკანდელი.

მ. მეზამენი, კეენისთვე, ებისკოპოზი, ეჭვა (და არა იჭვი).

ზ. ვაჟკანი, ვარგვარ (ვარგხარ, ვარგა), ვერსი, ვერცხლი...

თ. თაობა (ახალი თაობა), თებერვალი, თვალღიერება (ვათვალღიერებ), თვარა (და არა თორემ), თვითონ, თითო, თითოეული, თითქო, თუთხმეტი, თფილი (თფილისი)...

ი. ინჟინერი, იტალიური, იუბილე (იუბილეარი).

კ. ქაზმვა (მოკაზმვა, შეკაზმვა, შეკაზმული), კათალიკოზი, კაპიკი, კამბეჩი, კრიპუჭი...

ლ. ლურსმანი (ლურსმნის, ლურსმნები).

მ. მადღიერი, მათხოვარი, მამადი (მამადიანი), მანეთი, მაშინვე (და არა მაშინათვე), მერე (და არა მერმე), მეწველი (ძროხა), მზგავსი (მზგავსება), მზითვი, მთელი, მიწვევა, მივაწიე (და არა მიხწვევა, მივახწიე), მოწამე (წამებული), მოწმე (დამსწრე), მრული, მუგუზალი, მშვენიერი, მწყესი...

ნ. ნავსადგური, ნაკლულევანება, ნამუშავერი, ნაყიდობა (ნაყიდობის ქალაღი), ნაყოფი (ე. ი. ხისა და მიწის მოსავალი), ნამყოფი (ე. ი. ყოფილი), ნაძლევი (დანაძლევა)...

ო. ორორი, ორჯერ...

პ. პაპიროზი, პატიება (ე. ი. დანაშაულის მიტევა; აქიდან: მამაპატიე, ეპატიება), პატივება (ე.

ი. კარგათ მოვლა; აქიდან: ცხენს ვაპატივებ, ცხენი ვაპატივე), პირისახე, პირჯვარი, პტყელი (გაპტყელება, სიპტყე)...
რ. რასაკვირველია, რბალი, რგვალი (მორგვალება, მორგვალო), რთველი...

ს. საგათას ძილი, საღაფი (მარგალიტის კეცტყავი), სარღაფი (მაგალ. ღვინისთვის ქვედასართული), სათვალე (როცა ერთი თანაა, ხოლო სათვალეები—თუ ბევრი თანაა), სავარცხალი, საზღვარი, სათითოოთ, საკმეველი, საკვირველი, სანთელი, საუკუნე (საუკუნეები; საუკუნო კი ზედსართავია), საუცხოო, საქალო სასწავლებელი, სავაჟო სასწავლებელი (და არა საქალებო და სავაჟებო სასწ.), საღავათი, საშვალეობა, საქამადი (როგორც საღავათი, და არა შეღავათი და შექამადი), სახელდობ (და არა სახელდობრ), სახელმწიფო, სახსარი, სინიღისი, სოველი (აქიდან: დასოველება, სისოველე, და არა დასველება, სისველე), სუბუქი (მაგრამ სიმსუბუქე), სურდო, სურნელეობა, სურნელოვანი, სუქანი, სწორი (და არა სწორე, როგორც მრუდი, და არა მრუდე), სხალი, სხვერპლი (მაგრამ სამსხვერპლო, იმსხვერპლა), სხვილი (მაგრამ მომსხო)...

ტ. ტანისამოსი, ტანსაცმელი, ტყლიპი.

უ. უზღელი, უზმათ, უკაცრავათ, უღვთო (უღვთოობა)...

ფ. შარანი (ფარნები), ფართო, ფორთოხალი, ფოშტა, ფრთხილი, ფრინველი, ფსიხიკა, ფსიხიკური, ფსიხოლოგია, ფუჭი (ფუჭათ, და არა ფუჭე, ფუჭეთ).

ძ. ძვეშაგები, ქირურგი, ქრისტეშობისთვე...

ღ. ღვდელი, ღვთაება (ღვთიური, ღვთიანი, ღვთაებრივი).

შ. შეურაცხყოფა (შეურაცხყო, შეურაცხმყო), შეცთომა, შვამავალი, შვამდგომელი, შვილი-შვილი, შიმშილი...

ჩ. ჩვილი (და არა ჩჩვილი, როგორც თვე, და არა თთვე).

ც. ცარიელი, ცალცალკე, ცარცვა, ციება...

ძ. ძლიერ (და არა ძრიელ).

წ. წარსული (გავლილი ცხოვრება), წიწილი, წკეპელი, წმინდა, წრეულს, წრევანდელი.

ჭ. ჭადრაკი, ჭირნახული, ჭკუა, ჭკვიანი...

ხ. ხელახლა, ხელმწიფე, ხმალი, ხომალდი.

ჯ. ჯანმთელი, ჯინკველა, ჯინკარი.

ჰ. ჰიგიენა, ჰიგიენური, ჰუმანიური, ჰუმანიტარული.

II.

ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი .

ადესა, აზრუმი, ბათომი, ბარბაღე, ღადე-შქელიანი, ეკატერინე, მრევანი, მსპანია, ზესტაფონი (და არა ჴვირილა), ხარაგოული (და არა ბელაგორი), წალვერი (და არა ცაგვერი), თამარი (და არა თამარა), თეიმურაზი, თფილისი, ძავკავი, კოსტანტინე, კოსტანტინეპოლი, ლუარსაბი, მარგალიტა, მიხეილი, ნინო, ოდიში (და არა მეგრელია და სამეგრელო), ტრაპიზონი, ხაშური (და არა მიხაილოვი).

თავში მ არ უნდა: სხვერპლი, დივანბეგი,

ღვდელი, მართველი, რგვალი, სუბუქი, სუქანი, სხვილი, ტრედი, წვანილი, წვადი, წევარი...

მაგრამ აქიდან ნაწარმოებ ფორმებში მ ისევ დაერთვის, — მაგალ. **სამღვდელოება, სამსხვერპლო, იმსხვერპლა, სამწვადე, სამტრედია, სიმსუბუქე, სიმრგვალე, სიმსუქნე...**

—
მრი თანაბარი ხმა ერთად ძირში არ იხმარება: გრამატიკა, ეპლესია, კომისია, ანა, ალახი (და არა გრამმატიკა, ალლახი და სხვ.)

—
შცხო ენის (განსაკუთრ. ბერძნულის) ხ-ნის მაგიერ მ იხმარება: არქეოლოგია, არქივისკოპოზი, არქიმანდრიტი, ძრონოლოგია, ძრისტომატია, აქილესი...

—
ბევრი საკუთარი სახელი, ცალკე როცა ვიტყვით, ხმოვანზე უნდა დავაბოლოოთ, და თუ გვართან ან რაიმე სახელწოდებასთან იხმარება, თანხმოვანზე ბოლოვდება; მაგალითად: ანტონი, თამარი, ვახტანგი, მლისაბედი; ღვითი და ტარიელი თფილისში ცხოვრობენ (მაგრამ—ანტონ კათალიკოზი, თამარ მეფე, ვახტანგ ბორჯასლანი და სხვ.).

თავიანი-ს მაგიერ თავისი იხმარეთ: გლეხები თავის საქმეს შეუდგენ, მწყესებმა თავისი ჯოგები წარეკეს...

—
ძართულათ არ შეიძლება ითქვას ხუთი კაპიკი, ათი კაპიკი, თუთხმეტი კაპიკი, ოცი კაპიკი, ოცდახუთი კაპიკი და სხვ., არამედ—ერთი შაუ-

რი, ორი შაური, სამი შაური, ერთი აბაზი, ხუთი შაური, ექვსი შაური, შვიდი შაური, ორი აბაზი, ცხრა შაური, ათი შაური, თერთმეტი შაური, სამი აბაზი, თოთხმეტი შაური, თუთხმეტი შაური, ოთხი აბაზი, ჩვიდმეტი შაური, თვრამეტი შაური, ცხრამეტი შაური და სხვ.—**თუ** სრული შაური ან აბაზი არ გამოდის, მაშინ კაპიკობით შეიძლება ვიანგარიშოთ, მაგალ. **თერთმეტი კაპიკი, ოცდასამი კაპიკი, და სხვ.**

რისთვის, ამისთვის, იმისთვის მაშინ იხმარება, როცა მიზანი უნდათ აღნიშნონ, და თუ მიზეზის აღნიშვნა უნდათ, უნდა იხმარონ: **რატომ, იმიტომ, ამიტომ**;—მაგალ. **რატომ** არ მოხვედრი გუშინ შკოლაში? — **იმიტომ** რომ ავით ვიყავი. **რისთვის** მოხვედით შკოლაში? — **იმისთვის**, რომ ვისწავლოთ და სხვ.

არ ვარგა ამგვარი გამოთქმა: **მიიღო რა წერილი, პასუხი მისწერა**; ამის მაგიერ სჯობია: **წერილი რომ მიიღო (ან—მიიღო წერილი თუ არა), პასუხი მისწერა.**

უნდა ითქვას: **ადვილი შესაძლებელია, ძნელი სათქმელია და სხვ.** (და არა **ადვილათ** შესაძლებელია, **ძნელათ** სათქმელია).

ღირს ერთ აბაზათ, დაჯდა ათ შაურათ, ეს სახლი ძვირათ დაჯდება, სადილი იაფათ ჯდება, წიგნი იაფათ ეღირება (და არა **ერთი აბაზი ღირს, ათი შაური დაჯდა**).

მივდივარ, მივემგზავრები, წავალ, გავსწევ, გავიქცევი და სხვ.—**თფილისს, საფრანგეთს, ლონდონს, იაპონიას;** ვცხოვრობ, ვღვავარ, ვსწავლობ, ვვაქრობ და სხვ. **თფილისში, საფრანგეთში, ლონდონში, იაპონიაში,** და სხვ.; ე. ი.—**როცა მიმართულება** იხატება, გეოგრაფიული საკუთარი სახელები წმინდა მიცემით ბრუნვაში უნდა დაისვას, და თუ **მდგომარეობა** იხატება, მაშინ დაისმის თანდებული **ში**.

ბრიგოლმა **ას წელს** იცოცხლა, ბიორგიმ **თფილისში ოც წელიწადს** იცხოვრა, მანომ **ას წელს** ვასძლო (და არა ასი წელი იცოცხლა, ასი წელი ვასძლო და სხვ.)

ანტონი ფართალს (ხილს, მარილს, თევზს, ტანსაცმელს, სხვადასხვა საქონელს) ვაქრობს (**ანტონი ხილით** ვაქრობს, **მარილით** ვაქრობს და სხვ.— რუსიციზმია)

თუ წინადადება იწყება ნაცვალსახელით **რომელი**, ან თვით ამ ნაცვალსახელს და ან მის შემდგომს რომელიმე სახელს **ც** უნდა დაერთოს; მაგალ. **მს** ის კაცია, რომელიც ჩვენ გვეხმარებოდა; **ეს** არის ის კაცი, რომლის საქციელსაც ყველა კიბხავს (და არა რომლის საქციელს); ჩვენში არის **ციხე**, რომლის აშენებასაც (და არა რომლის აშენებას) **თამარს** მიაწერენ.

ძართულათ არ შეიძლება ითქვას, მაგალ., ასე:

ზიგომა სთქვა, რომ ის საზღვარგარეთ მიდის, — არა, მედ: ზიგომა სთქვა, საზღვარგარეთ მივდივარო.

როცა მოქმედება შესრულებულია, არ ითქმის. მაგალ., ასე: შოთა რუსთველი საბერძნეთს გაგზავნეს, რომ განათლება მიიღოს (უნდა: რომ განათლება მიეღოს).

სხვა სინონიმური სიტყვების მაგიერ შემდეგი ტერმინები იხმარეთ: ბაბუა, ბებია, ბია, თაველი. კლიტე (გასაღების მაგიერ), კრავი, ნიგოზი, პლანი (გეგმის მაგიერ), საინი, სუფრა (მაგიდას მაგიერ), ჩანჩქერი, ხაბურზაკი.

კმაყოფილი რის, და არა რით; მაგალითად: მე ამ საქმის კმაყოფილი ვარ (და არა ამ საქმით).

შემასვენელი რომელ რიცხვში დაისმის?

ა) თუ ქვემდებარე სულიერი საგანია: ბავშვები გაიქცენ, მუშებმა აღრე გამოიღვიძეს, ძაღლები ნადირს უყეფენ...

ბ) თუ ქვემდებარე უსულო საგანია და მრავლობითში ები-ზე ბოლოვდება: ხეები წაიქცა, ტყეები გადახმა, სახლები თოვლით დაიფარა...

ბ. თუ ქვემდებარე უსულო საგანია, მაგრამ მრავლობ. რიცხვში ნი-ზე ბოლოვდება: ხენი წაიქცენ, კლდენი დაინგრენ...

დ) რთულ სახელებთან: ჩემი დედ-მამა აქ

ცხოვრობს, ცოლ-ქმარი. სოფელში მიდის, და-ძმა
კარგათ სწავლობს...

ნაცვალსახელი რომელიც წინადადებაში რიცხ-
ვის შესახებ იმავე კანონს ემორჩილება, როგორც
შემასმენელი, — მაგალ.: ა) ბავშვები, რომელნიც...
ბ) სახლები, რომელიც...; გ) კლდენი, რომელნიც...;
დ) რთულ სახელებთან კი (როცა სულიერი საგა-
ნია), მრავლობითად იხმარება: ბიორგის იმისთანა
დედ-მამა ყავს, რომელთაც შვილებისადმი მრავალი
სიკეთე მიუძღვისთ.

სიტყვების გადატანა.

სიტყვის დამარცვლაში თავსართები (ა, აღ, ბა,
ბან, წა, წარ, მი, მო, შე, მე, სა, სი) და თან-
დებულები (თვის, კენ, დმი, თან) ცალკე მარცვ-
ლებათ უნდა ვიანგარიშოთ; უთავსართო და უთან-
დებულო სიტყვები კი ამ წესით უნდა დავმარცვ-
ლოთ: რამდენი თანხმოდანიც უნდა იყრიდეს თავს
ერთად, გადასატან მარცვალს მხოლოდ ერთი
თანხმოდანი გადაყვება ხოლმე; მაგალითები: გან-
კითხ-ვა, სა-სტუმ-რო, მე-სტუმ-რე, გა-ვი-სტუმ-რეთ,
მო-კრძალ-ვით, სი-ბრწყინ-ვა-ლე, სა-სწო-რი, მი-
ხრწნი-ლი, მე-სტამ-ბე, შე-შლი-ლის-თვის, გა-მო-
ხსნა-ში, ქართ-ვე-ლი, სა-ქართ-ვე-ლო, მარ-თებ-
ლო-ბა, მაგ-რატ-ლით, მარჯვ-ნით, მარცხ-სით.

რთული სიტყვების მარცვლები ცალცალკე უნ-
და ვიანგარიშოთ: და-ძმა, თავ-სხვი-ლი, შავ-თვა-
ლა.

მართმარცვლოვანი სიტყვების გაყოფა არ შეიძლება (მაგალ. **ჩანს, ტყემ, სოქვა**).

მართხმოვანი მარცვალი (ა, ე, ი, ო, უ) ცალკე არც დაიტოვება და არც გადაიტანება.

შემდეგი სიტყვები

ხალხში მახინჯათ იხმარება—და ასე უნდა იხმარებოდეს:

აგური, არაფერი, ასე, ამისთანა, აბია (დააბა, დაუბამს, დაბმული და სხვ.), **ადგილი, ამხანაგი;**

ბევრი;

ბარემოება, გარშემო, გაშვება (გაშვებული), **გალვიძება** (გალვიძებული, მლვიძავს, გამელვიძა), **გვიმრა;**

დამღურება, დამტვრევა (დამტვრეული), **დამწყვდევა** (დამწყვდეული), **დასიზმრება** (მე დამესიზმრა, შენ დაგესიზმრა და სხვ.), **დატოვება** (დატოვებული, დავსტოვე), **დისწული** (ძმისწული);---

მსენი;

მაკმევ, ვასმევ, ვაცმევ, ვეუბნები (ეუბნება), **ვიწრო, ვნახე, ვსდევ** (დავსდევ), **მე ვშვრები**, (რას შვრები? კი შვრები!), **მე ვწვები** (ის წვება, ჩვენ ვწვებით);

ზაფხული, ზურგი,

თევზი, თოვლი, თხზულება;

ისინი, ისე, იმისთანა, ისევ, ირგვლივ.

ძიტრი, კიდევ, კვირა, კბილი, კლიტე, კმაყოფილი (დაკმაყოფილება, უკმაყოფილო), **კოვზი;**

ლაპარაკი (ვლაპარაკობ, ნუ ლაპარაკობ და სხვ.);

მასპინძელი (გამასპინძლება), მაშინ (მაშინვე),
მზე, მთვარე, მთელი, მთლათ, მოთმენა (მოთმინე-
ბა), მდებარეობა, მდგომარეობა, მე მიყვები (გა-
ყვები, წაყვები და სხვ.)

ნაკლულევანება, ნასადილევს, ნემსი, ნივთი.

ოღონდ, ორშაბათი (სამშაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი);

ჟინი (ჟინიანი, დაჟინება), ჟანგი (დაჟანგული),

სასწაული, სანთელი, სავსე (ავსიბული), სა-
სწავლებელი, საწნახელი, საკვირველი, საპყრობილე
(შეპყრობა), საძირკველი (უსაძირკველო), საყდარი;
სიკვდილი, სიცილი, სქელი, სიცივე (სიცივეს, სძცი-
ვემ), სწორი (გასწორება, უსწორმასწორო);

ტვირთი (დატვირთული), ტბა, ტკბილი;

შარი, უარესი, უფრო, უფროსი;

შართო, ფქვილი;

ძალაღდი, ქალამანი, ქვეშევრდომი;

ღრუბელი, ღობე;

შბა, ყინვა (გაარჩიეთ ამისგან **ყინული**), ყბედი,
ყვინჩილა, ყმაწვილი, ყურადღება (უყურადღებო);

შიგ, შეშა, შეხვედრა, შფოთი;

ჩაგვრა (დაჩაგრული), ჩრდილი;

ძილი, ძმისწული (დისწული);

წვიმა (წვიმს), წყურვილი;

ხიდი, ხვეწნა (ვეხვეწები, ის შეეხვეწა), ხვევა
(შეხვევა, შეხვეული, მოხვევა, მოხვეული);

ჯიბე (ჯიბეს, ჯიბემ, ჯიბეში).